ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
სამშაბათი
4
სექტემბერი
№106 (1034)
ფასი 8 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,
НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

## როგორ ვემზადებით ახალი სასწავლო წლისათვის?

ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რადგან სკოლებში და სკოლამდელ დაწესებულებებში ყალიბდება ქვეყნის მომავალი მოქალაქე, განათლებით, მრწამსით, პატრიოტული სულისკვეთებით.

როგორც გაზეთი „კომუნისტი" იუწყებოდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებისათვის სასწავლო წელი სექტემბრის სხვადასხვა დღეს იწყება. რაც გამოცხადდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისა და მისი ორგანიზებული დაწყების საკითხებზე გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე.

აქედან გამომდინარე, ქალაქ ზუგდიდში სასწავლო წელი იწყება 17 სექტემბერს.

როგორ ემზადებიან ამ დღისათვის ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები?

ამის გასაგებად ვესტუმრეთ რამდენიმე საშუალო სკოლას.

წელს სკოლების სარემონტო სამუშაოებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილია 120 ათასი მანეთი. ამის გარდა სარემონტო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ საშეფო ორგანიზაციებიც.

მაგრამ, მოგეხსენებათ მხოლოდ სახსრებით რემონტს ვერ გააკეთებ. საშენი მასალებისას კი დიდ დეფიციტს განიცდის მთელი ჩვენი ქვეყანა. სწორედ ამ მასალების უქონლობამ და მიმდინარე სამუშაოთა გაჭიანურებამ გამოიწვია სასწავლო წლის 17 დღით გვიან დაწყება. ისიც უნდა ითქვას, რომ დარჩენილი დროც როდია საკმარისი, რათა ქალაქის სკოლები ისე მოემზადონ, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელობა.

ქალაქის პირველი საშუალო სკოლა (დირექტორი ლ. ცინანტია), რომელიც ახალ სასწავლო წელს კარებს გაუღებს 951 მოსწავლეს, მართალია, დიდი მონდომებით ემზადება, თუმცა მოგეხსენებათ, ნაუცბათევი საქმე ხარისხიანი ვერ იქნება. სკოლას რამდენიმე ადგილას აწვიმს (ასე იყო შემოწმების დღეს), თვით დირექტორი თუნუქის საშოვნელადაა წასული — ასე გვითხრა დარაჯმა. შეთეთრების სამუშაოები დასრულების პროცესშია, შეღებილი და შერემონტებულია საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, თუმცა ეს სამუშაოები საერთოდ არ იყო დაწყებული სპორტდარბაზში. სკოლის შეფია ჩაის კომბინატი „ოდიში" (დირექტორი მ. დარასელია).

ქალაქის მე-13 საშუალო სკოლას თვითონ მასწავლებლები — სერგო შენგელია და ვალერი ჩანგელია არემონტებდნენ. — ფულები საკმარისად არა გვაქვს, საერთოდ ყველანაირ მასალას ძლივს ვშოულობთ — განაცხადეს მათ.

ყველაზე უბადრუკად ქალაქის მე-12 საშუალო სკოლა გამოიყურება. ის მოთავსებულია ხის ძველისძველ შენობაში. ახალ შენობას საფუძველი ჩაეყარა, მაგრამ ეს მხოლოდ საფუძველია, და იგი ვერ დააიმედებს ახალი სასწავლო წლის მომლოდინე ბავშვებს. სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია, ზედმეტია ლაპარაკი სპორტდარბაზსა თუ კაბინეტ-ლაბორატორიებზე. საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება მშენებლობის დაჩქარებისათვის.

სკოლა-ინტერნატი ერთადერთია ქალაქში, რომელსაც სათავეში ამავე ინტერნატის აღმზრდელი ნინო ავალიანი უდგას. ინტერნატში სამუშაოებს № 2 ტრესტის სარემონტო-სამშენებლო უბანი აწარმოებს. სულ 80 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შესრულდეს. კაპიტალური რემონტი და შეღებვის სამუშაოები შარშან ჩაუტარდა. ავარიულ მდგომარეობაშია სასადილო (შეფი ორგანიზაცია — ჩაის ექსპერიმენტული საწნეხი ფაბრიკა, დირექტორი ნ. გულუა). ყოველდღიურად 5-6 კაცი მუშაობს — თქვა ნ. ავალიანმა, — საძილე კორპუსის რემონტს ვერ ვასწრებთ, — თუმცა, როგორც დავათვალიერეთ, ეს კორპუსი ყველაზე უკეთ იყო შენარჩუნებული.

№ 9 საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. კოდუა) დამთავრების პროცესშია მიმდინარე შეკეთება, როგორც სკოლის დირექტორმა გვითხრა, ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში იხსნება პროფილირებული ჯგუფები ფიზიკა-მათემატიკის განხრით, რისთვისაც კეთილმოეწყო ფიზიკის, მათემატიკის და ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები, შეიძინეს კომპიუტერების კომპლექტი 13 მოსწავლე-ადგილზე, კაბინეტში დამონტაჟდა ელექტროსიგნალიზაცია. შეფი ორგანიზაცია — ქალაქის ინდბინამშენებლობის სამმართველო (ნ. რაფავა) შესაძლებლობისდაგვარად მატერიალურად ეხმარება სკოლას.

განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ინვენტარისა და სახელმძღვანელოების დეფიციტი. ახალი სასწავლო წელი კარსაა მომდგარი, დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებით კი სკოლები სანახევროდაც არ არის უზრუნველყოფილი. საკითხის გადაწყვეტის რეალური გზები კი ჯერჯერობით არ ჩანს.

ასეთივე სავალალო მდგომარეობაა საკლასო თვალსაჩინოებით მომარაგების საქმეშიც.

ახალ სასწავლო წელს ქალაქის 10 ათასამდე მოსწავლე-ახალგაზრდა შეაღებს სკოლის კარებს. მათდამი კეთილსინდისიერი, პასუხისმგებლური დამოკიდებულება ბევრად განსაზღვრავს მათ შემდგომ მომავალს.

დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ როგორც სკოლის, ასევე საშეფო ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა, რათა შესაძლებლობისამებრ გადავწყვიტოთ მოცემულ ეტაპზე ნორჩთა აღზრდის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

სარეიდო ჯგუფი

ჩაი—90

## შესრულდა წლიური გეგმა

ახალსოფლის კოლმეურნეობის (გამგეობის თავმჯდომარე ქ. კიკალიშვილი), მწვანე პლანტაციის ოსტატებმა შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. 31 აგვისტოსათვის დამზადებულია ზეგეგმიური 220 ტონა ჩაის ნედლეული.

წლიური დავალებები გადამეტებით შეასრულეს: მზია ჯოჯუას, ჯუმბერ ქამკამშვილის, შალვა ბერიას, პეტრე როგავას, ნოდარ ქვარცხავას და სხვათა ბრიგადებმა.

წარმატების თავწყარო მეჩაითა იჯარული ფორმით შრომაშია, რამაც დიდი უკუგება მისცა მშრომელებს, რაოდენობასთან ერთად ხარისხზე ზრუნვის საუკეთესო მაგალითი უჩვენეს: ნარგიზა ყუფუნიამ, ინელა ჯიქიამ, მადონა ჩხიკვაძემ, ჟორა ჰეჰუამ, ლუიზა ცირდავამ, კლიმენტი შამათავამ, ნათი ჰურღულიამ, როზა მირცხულავამ, ნათელა ბეჟვაიამ და სხვებმა.

მეჩაიე მშრომელთა გადაწყვეტილებაა დამატებით დაამზადონ 200 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

კრეფა გრძელდება.

თ. თოლორაია,
კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი.

საკვებს — განსაკუთრებული ზრუნვა

## სადღეისო ამოცანა

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები ამთავითვე იმარაგებენ საკვებს პირუტყვისათვის. ბევრი ბრიგადა, რგოლი მუშაობს იჯარული მეთოდით. გაიზარდა საკვებმომპოვებელთა შრომის საზღაური, ამიტომ ისინი მეტ ორგანიზებულობასა და ყაირათიანობას იჩენენ ყველაფერში.

დროზე დაიწყო საკვები ბალახების ალება. დღემდე გეგმიური 4500 ტონიდან მოითიბა და ადგილებზე დაზვინულია 346 ტონა თივა. აღნიშნული სამუშაო ორგანიზებულად მიმდინარეობს კახათის, რუხის, გრიგოლიშის, კოკის, ჰაქვინჯის კოლმეურნეობებში და დიდინეძის საბჭოთა მეურნეობაში.

* * *

მზადდება სენაჟი და ძირხვენები. მიმდინარეობს ტურნეფსის თესვა, რომელსაც 350 ჰექტარი დაეთმობა.

გეგმიური 5500 ტონიდან ჩადებულია 3900 ტონა სასენაჟე მასა. 4500 ტონიდან დამზადდა 611 ტონა ძირხვენები.

* * *

საკვებწარმოების რაიონული გაერთიანების კოლექტივმა გეგმიური 400 ტონიდან დაამზადა 317 ტონა ბალახის ფქვილი.

## ჩაბალუხა პირველია

შრომის არენდული წესით მომუშავე მექანიზირებულ რგოლებს შორის ჯუმბერ ჩაბალუხას რგოლმა პირველმა უპატაკა ონარიის მეურნეობას წლიური დავალების შესრულება. გადამამუშავებელ მრეწველობას ჩააბარა 67 ტონა ნედლეული.

წინ არიან გენადი ქირიას, ბიჭიკო ჰაფანძის, ენვერ ქვარაიას, პარლენ ნაკაშიძის და სხვათა კომპლექსურ - მექანიზირებული რგოლები.

კრეფა წარმატებით გრძელდება.

**ზუგდიდის რაიონის მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების საყურადღებოდ!**

გაცნობებთ, რომ ახალ 1990-1991 სასწავლო წელს ზუგდიდის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში მეცადინეობა დაიწყება 1990 წლის 17 სექტემბერს.

მასწავლებელთა კონფერენცია ჩატარდება 1990 წლის 7 სექტემბერს.

საგნობრივი მეთოდგაერთიანებების სხდომები ჩატარდება კონფერენციამდე 6 სექტემბერს, ინგირის II საშუალო და ინგირის სკოლა-ინტერნატში, დილის 11 საათიდან.

ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბაზრო ეკონომიკა: პრობლემები, გადაწყვეტის გზები

# არა დიქტატით, არამედ თვითმმართველობის გაფართოებით

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კონცეფცია-პროგრამა, რომელიც რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლებისა და ლუდის მრეწველობის შემდგომი განვითარების ახლებურ, დროის მოთხოვნებთან შეჯერებულ ღონისძიებებს სახავს. ამ დოკუმენტის გარშემო თავისი მოსაზრებების გამოთქმა ვთხოვეთ ზუგდიდის საიჯარო-საწარმოო ფირმა „ენგურის" დირექტორს ბ-ნ. ზ. გოგოხიას.

— კონცეფციაში ნათლად არის გამოკვეთილი ის ფაქტორები, რომლებიც აქამდე უალკოჰოლო სასმელების წარმოების განვითარებას აფერხებენ. რას გვეტყოდით აღნიშნულ მომენტებზე?

— დარგის წინსვლას გარკვეულწილად აფერხებს ვაჭრობის არასრულყოფილი ორგანიზაცია და სპეციალიზებული სავაჭრო ქსელის უქმარისობა. თავს იჩენს პროდუქციის რეკლამის დაბალი დონე. სათანადო ყურადღება არ ექცეოდა წარმოებაში ახალი, მოდერნიზებული ტექნოლოგიის დანერგვას. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დასახული ღონისძიებები, რაც უახლოეს მომავალში უდაოდ გამოიღებს შედეგს.

— ახლა აღებულია კურსი საწარმოებისთვის თვითმმართველობის ფუნქციების მისანიჭებლად. რა პერსპექტივები ისახება თქვენი კოლექტივის წინაშე ამ მხრივ?

— თანდათან თავს ვაღწევთ ზემოდან დაშვებული დირექტივების ხუნდებისაგან. თუ აქამდე ცენტრალიზებული წესით განისაზღვრებოდა ფონდების მოცულობა, ამჟამად ქარხანა პირდაპირ, უშუალო ურთიერთობას ამყარებს მომხმარებელთან ურთიერთხელშეკრულების დონეზე, ჩვენი ნაწარმი მიეწოდება როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებს, ისე რესპუბლიკის სხვა რეგიონებს.

ქარხნის პოტენციალის უკეთ გამოვლინებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საიჯარო პრინციპმა. ძირეული ქვედანაყოფები ფაქტიურად თვითმმართველობის მეთოდებით ფუნქციონირებენ. ამან ხელი შეუწყო საწარმოო-ტექნიკური საკითხების უკეთ დარეგულირებას. გამოიკვეთა სოციალური სიკეთეც. ამაღლდა ანაზღაურების ნორმატივები. კვალიფიციური მუშის თვიური ხელფასი 250-მანეთამდე აღწევს. უახლოეს ხანებში იგი 300-350-მანეთამდე ამაღლდება.

რაც შეეხება ნედლეულით მომარაგების პრობლემას, ვცდილობთ პირდაპირ სახელშეკრულებო გარიგებებს რუსეთის რესპუბლიკის ორგანიზაციებთან.

— ის ფაქტი, რომ ნება დაერთო სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს წყლებს" შექმნას აქციონერთა საზოგადოება, დარგის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის დამაჩქარებელი ბერკეტების ამოქმედებას მოასწავებს. რის გაკეთებას აპირებთ თქვენ ამ მიმართულებით?

— საბაზრო ურთიერთობის პრინციპებზე გადასვლა დროით ნაკარნახევი აუცილებლობაა, რასაც ალტერნატივა არა აქვს. მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, რომ ამ სტრუქტურებით ჩვენ დღემდე არ გვიმუშავია. ამიტომ, კოლექტივის წინაშე დგება კონკრეტული ამოცანა: ღრმად გაიცნობიეროს ამ სიახლის არსი, სპეციფიკა. გულმოდგინედ მუშავდება მეურნეობრიობის საკუთარი მოდელი, რომელიც მოგვცემს საშუალებას თვითონ გადავწყვიტოთ რა გვაწარმოოთ, სად გავყიდოთ, რა ფასებით და ა. შ.

1991 წელს მწყობრში ჩადგება უცხოური ტექნოლოგიით აღჭურვილი ხილეული წყლების ჩამომსხმელი ქარხანა და კომპოზიციის მწარმოებელი საამქრო. მნიშვნელოვნად გაიზრდება პროდუქციის ასორტიმენტი. გამოვუშვებთ ლუდის ახალ სახეობებს: „თბილისური" და „უკრაინული", რომლებიც ხასიათდებიან უფრო მაღალი გემოვნებითი თვისებებით და მდგრადობის კოეფიციენტით. მივაღწიეთ იმას, რომ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალიდან უალკოჰოლო სასმელების გამოსაშვები ძირითადი ნედლეული დავამუშაოთ ადგილზე და ამით საგრძნობლად გავაუმჯობესოთ ნაწარმის ხარისხი.

გადადგმულია ნაბიჯები თბილისისა და ქუთაისის ქარხნებთან ურთიერთ თანამშრომლობის ბაზაზე შეიქმნას ასოციაცია, რომელიც დამოუკიდებლად იფუნქციონირებს. ურთიერთთანამშრომლობის ამდაგვარი პრინციპი გააიოლებს გასაღების ბაზრის და ნედლეულის ბაზის გამოძებნას, გააქტიურებს ხარისხის ამაღლების ბერკეტებს.

რაც შეეხება საწარმოს დღევანდელ მონაცემებს, იგი სტაბილურია. საერთო პროდუქციის გამოშვებისა და მოგების გეგმები გადაჭარბებით სრულდება. მაგრამ კოლექტივი მიღწეულს არ ჯერდება და უკეთესი პერსპექტივისათვის იღვწის.

## ახალგაზრდული შემართებით

საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება ამშვენებს ადამიანს. ასეთები საყოველთაო პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებენ.

ასეთთა რიგებს მიეკუთვნება აღრიცხვის დარგის მუშაკი, ქალაქის სოცუზრუნველყოფის განყოფილების მთავარი ბუღალტერი ნათა ფონია. რიგით ბუღალტრად მოვიდა იგი განყოფილებაში, ცოდნით, საქმისადმი პასუხისმგებლობით მალე გამოიჩინა თავი, რის შემდეგაც მთავარ ბუღალტრად დაწინაურდა. მიუხედავად ასაკისა, იგი ჩვეული ენერგიითა და ერთგულებით ემსახურება არჩეულ პროფესიას. განსაკუთრებით ემადლიერებიან ომისა და შრომის ვეტერანები, რომლებიც პენსიის დასანიშნად მისულები დიდად კმაყოფილი არიან ქალბატონ ნათას ყურადღებითა და თავაზიანობით. იგი ახალგაზრდობის მეგობარი და დამრიგებელიცაა, დაუშურებლად გადასცემს აღრიცხვის დარგში მრავალი წლის მანძილზე მუშაობის გამოცდილებას.

თმები დაუფიფქიათ წლებს, მაგრამ თვალებში ისევ ახალგაზრდული შუქი და სითბო დაბუდებულა, სიცოცხლის ხალისი დაბუდებულა, რაც აგრერიგად გადამდებია ირგვლივ მყოფთათვის. საქმის სიყვარულს, კეთილსინდისიერად სამსახურს თუ შეუნარჩუნებია მისთვის ეს მარადახალგაზრდული სხივი.

ბ. ბლუიბაია

# ცოცხალი საუბრის ხიბლი

ყოველ მოქალაქეს ღირებულებათა საკუთარი საზომი აქვს. ზოგს მიაჩნია, რომ თუ პრესტიჟულ ნივთებს ფლობს, შეძლებულად ცხოვრობს — ბედნიერი კაცია. ზოგი დარწმუნებულია, რომ თუ მაღალ სკამზე ზის და პატივისმცემებთა დიდი გუნდი ახვევია, მიზანი მიღწეული აქვს. მაგრამ საზოგადოების უმეტესობას, ჩვენი ღრმა რწმენით, პატიოსანი, წესიერი ადამიანები შეადგენენ, რომელთაც შრომა მიუჩნევიათ თავიანთი არსებობის ქვაკუთხედად, გამახვილებული აქვთ მოვალეობის გრძნობა საკუთარი თავის, საკუთარი ოჯახის, სამშობლოს წინაშე. სწორედ ასეთ ადამიანებს ხელეწიფებათ რწმენადაკარგულს გული გაუმხნევონ, თვითკმაყოფილების ნირვანამორეულს — თვალი აუხილონ, ცხოვრებაზე ამრეზილს ავი ზრახვა გაუქარწყლონ.

დღეს, როგორც არასდროს, ასეთი პიროვნებების სიმრავლე სჭირდება საქართველოს. გვჭირდება იმის ღრმად გაცნობიერება, რომ ერთ კაცსაც, როგორც საზოგადოების ღვიძლ ნაწილს შეუძლია თავისი ძალღონისა და შინაგანი მრწამსის მისადაგება სამშობლოს საზრუნავთან. თავისი ადგილის პოვნა მრავალჭირნანახი მამულის ეკონომიკური და კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლაში.

დღეს, როცა წარსული შეცდომებისა და დანაშაულობებისაგან, მართვის ავტორიტარული მეთოდებისაგან მთელი საზოგადოების განთავისუფლებას ვესწრაფვით, შეუცვლელი მნიშვნელობა ენიჭება ლექტორს. პიროვნებას, ვინც შინაგანად არის მოწოდებული აუდიტორიასთან გავიდეს, ესაუბროს ადამიანებს სადღეისო აქტუალურ საკითხებზე. მართალია, პერიოდული პრესის ნაკლებობას აღარ განვიცდით, მაგრამ ცოცხალი კონტაქტის ხიბლი მაინც სულ სხვაა. ოღონდ საინტერესო საუბარი შეგეძლოს, დღევანდელობის დონეზე აზროვნება შეგეძლოს და მსმენელნი ყოველთვის გეყოლება. დღეს მშრომელთა პოლიტიზაციის პრობლემა აქტუალურია. მშრომელთა გარკვეულ ნაწილს უჭირს მოვლენების სწორად გააზრება, უცთომელი ორიენტაციის აღება. ასეთებს უნდა დავეხმაროთ აღნიშნული ხარვეზის შევსებაში. დამოუკიდებლობის აღდგენის შეუვალი მიზნით ანთებულ ქართველობას უნდა გავუადვილოთ ყველა იმ საჭირბოროტო პრობლემების ღრმად გაცნობიერება, ბრძოლის გზების გამოძებნა, რაც ასე საშურია დღევანდელი საქართველოსათვის. აღარ არის საჭირო თეორიული, სქოლასტიკური მსჯელობებით, ათასგზით გადაღეჭილი ჭეშმარიტებებით სასაუბრო თემატიკის გადატვირთვა. სასურველი და აუცილებელია საგნობრივი საუბარი ცოცხალ რეალობაზე, ჩვენს გარშემო არსებულ დეფორმაციებზე, მათი დაძლევის გზებზე.

ასეთი ცოცხალი, უშუალო, განმანათლებლობითი ლექცია-საუბრები მით უფრო საშურია ამ ეტაპზე, როცა დაიწყება წინასაარჩევნო სამზადისი, სწორედ ლექტორ-მომხსენებლებმა უნდა მოახერხონ დეპუტატობის კანდიდატთა პლატფორმებზე მიმზიდველი საუბრები, ახალი საარჩევნო სისტემის სპეციფიკურ მომენტებზე ყურადღების გამახვილება. ყოველი ჩვენგანი უნდა აღივსოს იმის შეგნებით, რომ საქართველოს მომავალი ბედი ჭეშმარიტად დემოკრატიული, ეროვნული პარლამენტის არჩევაშია.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ლექცია სიტყვების კაზუისტიკა და ციტატებით ჟონგლიორობა როდია. ეს არის ერის სასიცოცხლო ინტერესები გატარებული ლექტორის გულის ძარღვებში და ცოცხალი, მიმზიდველი ენით მიტანილი მსმენელებამდე. ლექცია-საუბრებთან ერთად საჭიროა სოფლებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში არ ჩავაქროთ კულტურული თვითმოქმედების ცეცხლი. უნდა გაიმართოს მიმზიდველი, მიზნობრივი ღონისძიებები, რომლებიც ერთხელ კიდევ გაუმძაფრებენ მშრომელებს სამშობლოს განცდას, აღანთებენ მათ სასიკეთო საქმეებისათვის.

# როგორ მივიღოთ მოგება?

გაერთიანება „თბილისქალაქმშენის" კოლექტივმა დაძლია მრავალწლიანი ფინანსური გარღვევა და უკვე სისტემატურად იღებს მოგებას. შარშან, მაგალითად, მან 10 მილიონი მანეთი შეადგინა. წლევანდელი მაჩვენებლებიც ხმედის მომგვრელია.

თბილისში აშენებულ საცხოვრებელ სახლებში ჩაბარებიდან უკვე ერთი კვირის შემდეგ შესახლება პრაქტიკაში დამკვიდრდა. წინათ ეს პროცესი რამდენიმე თვე ჭიანურდებოდა.

—გაერთიანება, რომელიც დაახლოებით 12 ათას კაცს ითვლის, უკვე მეორე წელია რაც სამეურნეო ანგარიშის მეორე მოდელით მუშაობს, —ამბობს გაერთიანების უფროსი ი. ქევხიშვილი. —ესე იგი, 92-ვე სამეურნეოანგარიშიანი კომპლექსური ბრიგადა მეტად დაინტერესებულია სამუშაოთა ხარისხიანი და სწრაფი შესრულებით. მათი გამომუშავება ხომ ამაზეა დამოკიდებული. მაგრამ მაინც ჩვენ მთლიანად ვერ ვანაზღაურებთ მათ შრომას, მე მხედველობაში მყავს მშენებელი მუშები. ამაში ხელს გვიშლის თითქმის ათი წლის წინათ მიღებული შეზღუდვები და ნორმატივები. ამიტომაც განვითარდა დღეს ჩვენთან, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენი დროის ფენომენი —შრომის ნაყოფიერების ზრდამ მნიშვნელოვნად გაუსწრო ხელფასის მატებას. ჩვეულებრივ, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლის დროს უკუმოვლენები ყალიბდება ხოლმე.

ოდესღაც წამოყენებული ლოზუნგი „ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ხარისხიანად" უაზრობაა. აი ჩვენთან, საქართველოში, მაგალითად, ერთი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 მანეთს. შედარებისათვის ავღნიშნავ, რომ მოსკოვში ეს მაჩვენებელი 400 მანეთს შეადგენს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 700 დოლარს.

250 მანეთი თითოეული კვადრატული მეტრი —ბევრია ეს თუ ცოტა დღევანდელი ყოვლისმომცველი დეფიციტის პირობებში, მე მგონი ამის ახსნა არავის სჭირდება, და, გარდა ამისა, ჩვენ ვფიქრობთ საკუთარი საცხოვრებლის ეროვნული ბაზრის შექმნას. სხვათა შორის, მისი მიზანშეწონილობის შესახებ ნათქვამია სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებაშიც საბინაო პრობლემის შესახებ. წინასწარ გარწმუნებთ, რომ ბინის ფასი არ გადააჭარბებს მის თვითღირებულებას პლიუს მშენებელთა მიერ გაწეული შრომის საზღაური. სამაგიეროდ ხარისხი უკეთესი იქნება.

(საქინფორმი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

# ვინა ვართ და რა გვსურს

უფლის წილ-ხვედრილი ქართული მიწა, რომელიც საუკუნეობით კეთილშობილი ქართველი კაცის სისხლით ირწყვებოდა დღეს შველას ითხოვს.

გამოიღვიძა ღმერთკაც ამირანის ხსეულმა. ბოლშევიზმმა არა მარტო ბორკილებში ჩასვა ქართველი კაცი, არამედ სულიერად გააღარიბა იგი. დღეს როცა ყოველი მხრივ ამისგან თავისუფლდება საქართველო, ახლავე უნდა დაისვას საკითხი საქართველოში მონარქიის აღდგენისა.

ეს აუცილებელია და აი რატომ: სულიერად დაბეჩავებულ ინერტულად ქცეულ ქართველ ხალხს სჭირდება გმირული ზეპატრიოტული სული. მონარქისტული მითოსი, რომელიც სოციალურად განადგურებულ ხალხში აღადგენს თავმოყვარეობას, საკუთარ ღირსებას და მისცემს საშუალებას ირწმუნოს ის ძალა, რომელსაც აქამდე დიდი პატივით ეტარებდა ქართველობა.

ჩვენმა გმირულმა წარსულმა უნდა მისცეს რწმენის გარეშე დარჩენილ ქართველ ხალხს ის, რაც მას ორასი წლის მანძილზე დაკარგული აქვს და ურომლისოდ იგი ვერ ჩადგება მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გვერდში. და... ბოლოს დღევანდელ ქართველობას სჭირდება ერის მეთაური მეფე, რომელიც ხალხს შთაუნერგავს იმედს, აანთებს მამობრივი სითბოთი და სიკეთისაკენ გაუკვალავს გზას.

დღეს დამდგარი ეს საკითხი ერის დიდი სულიერი ტკივილისა უნდა გადაწყდეს და ეს წყდება.

საქართველოში 1990 წელს დაარსდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომელმაც შინა და გარეშე მტრებისაგან შევიწროებულ ქვეყანაში გზად ხსნისა ეროვნული სამეფოს აღდგენა დაისახა.

„კავშირმა თავიდანვე წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. განა შეიძლებოდა ღვთის ქებას, რომელიც საქართველოს ხსნას ისახავს, ასე ეშმაკის თვალით შეხედო. პარტიული ფუნქციონერები აშინებდნენ ხალხს მონარქისტები მეფეს დაგისვამენო. საქმეში ჩაუხედავი უბირი ხალხი, რომელიც მათ აჰყოლია, თავის შეშფოთებას გამოთქვამს: ამათ თავადობის აღდგენა უნდათ და ვაი ჩვენი ბრალი მაშინაო!

საკვირველი ერთია: რა უნდა წაართვას იმ მეფემ თუ იმ თავადმა იმ ხალხს, როცა საბჭოთა ხელისუფლების ხელშია მოქცეული მთელი სახელმწიფოს სიმდიდრე, მიწა და ფაბრიკები, რა უნდა დაკარგოს მშრომელმა ხალხმა, იმის უფლება რომ ასჯერ გაძვირებული ხორცი იყიდოს? უბედური ყაში რომ არ დატრიალებულიყო, ქართველი ხალხი მსოფლიოს თვალში დღეს ასეთ დაბალ დონეზე არ იცხოვრებდა, ასე პატივაყრილი არ იქნებოდა.

საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირს არც სოციალურად, არც ეროვნულად ან სარწმუნოებრივი ნიშნის მიხედვით რაიმე პრეტენზია არ გააჩნია, ოღონდ კი ადამიანი იზიარებდეს ჩვენს პოლიტიკურ ორიენტაციას თავისუფალსა და დამოუკიდებელ საქართველოში.

ეს ისტორიული გამოცდილებაც გვიმაგრებს მხარს: თუ ოდესმე საქართველოში მცხოვრები ყველა ხალხი გაერთიანებული და დარაზმული ქართველი ერის გარშემო, ეს ერთიანი საქართველოს მეფეთა დროშის ქვეშ მომხდარა და დღესაც ნებისმიერი სეპარატული გამოვლინების დაძლევის ერთადერთ საშუალებად წარსულში კეთილად გაკვალული გზა მიგვაჩნია.

მით უფრო, რომ ჩვენი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ტრადიციული ფორმა სწორედ ქართული სამეფოს არსებობას. თან არის დაკავშირებული და ჩვენი ღრმა რწმენით საქართველოს ჭეშმარიტი ანექსიის თარიღი უკავშირდება არა 1921 წლის თებერვალს, არამედ 1801 წელს.

ქართველმა კაცმა მეფობის ინსტიტუტი ისე შეისისხლხორცა, რომ იგი თავის ცხოვრების წესად აქცია. ეს არის ქართული ტრადიციები, თუნდაც სუფრის წესები, თამადა მერიქიფის „ალავერდის“ და სხვა.

ქართველები ვერ დაითმობენ თავიანთ სალოცავებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. ქართველთა მეფეების 13 საუკუნოვანი დინასტია, რომელიც იყო გმირობის, თავგანწირვის, ვაჟკაცობის, რაინდობის, სიწმინდის მაგალითები, ქართველ ხალხს აანთებდა დამოუკიდებლობისაკენ, მათი წყალობით საქართველომ შეინარჩუნა ის თვისებები, რომლითაც დღესაც ქართველი ერი გამორჩეულია მსოფლიოში და ძალმილეულ ქართველ ერს, რომელსაც სამოცდაათი წელი მხოლოდ ამ სიწმინდის და სიცოცხლისათვის აუცილებელი ატრიბუტის დათრგუნვას და ხელყოფას ასწავლიდნენ. დღეს, როგორც არასდროს სჭირდება კავშირი, რომელიც ბოლოს და ბოლოს იზრუნებს ქართველი ერისათვის, მისი გადარჩენისათვის.

ნურვინ გაგვიგებს თითქოს მიზნად აბსოლუტურ თვითმპყრობელურ მონარქიას ვისახავდეთ. მან უკვე ისტორიულად თავისი დრო მოჭამა. ქართველი სამეფოს აღდგენის მოსურნენი, ჩვენ მის ისეთ ფორმას მივიჩნევთ ოპტიმალურად, რომელიც ძირშივე აღკვეთს ხელისუფლების ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, ერის ნებასურვილის გაუთვალისწინებლად. ასეთად კი კონსტიტუციური მონარქია გვესახება.

პოლიტიკური მმართველობის ამ ფორმამ დღეს მთელს მსოფლიოს დაანახვა თავისი კეთილშობილური ბუნება. ჩვენ უნდა მივყვეთ ევროპის პატარა ერების—დანიის, ნორვეგიის, შვეციის, ბელგიის, ჰოლანდიის მაგალითს. აქ ნათლადაა გამოკვეთილი მისი ის სიკეთე, რომელიც მათ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში გამოიხატა.

სამომავლოდ თუ გვსურს ალორძინდეს ჩვენი ერის სულიერი და ფიზიკური პოტენციალი, მისი თვისებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით სწორედ ამ პატარა სახელმწიფოების გზას უნდა მივყვეთ. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის სათავეში გვეყოლება ლიდერი სამეული, რომელიც მტკიცედ დაიცავს ერის სუვერენულ უფლებებს —ერის სულიერი და ზნეობრივი მოძღვარი—კათალიკოს პატრიარქი. —ერის პოლიტიკური ხელმძღვანელი პრემიერ მინისტრი და ერის ისტორიული და კულტურული ტრადიციების ცოცხალი ხატი—უზენაესი ხელისუფალი —მონარქი.

დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანაა თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მოპოვება და ეს მიგვაჩნია ჩვენი მიზნისათვის ერთადერთ და სწორ აუცილებელ გზად. ეროვნულ მოძრაობას ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს კავშირი საკუთარი მიზნებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს არა აქვს უფლება გამოიყენოს ეროვნული მოძრაობა საკუთარი მიზნებისათვის.

დაე, აგვხდენოდეს დიდი ხნის სანუკვარი ოცნებები.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამინ!

**გიორგი ტყებუჩავა,**
ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის ზუგდიდის სადროშოს თავმჯდომარე.

# მიურატები სამეგრელოში

**წერილი მეორე**

მკითხველი იცნობს ჩვენს წინა სტატიას (იხ. გაზეთი „ოდიში“, 1990 წ. №90) მიურატების შესახებ. ამჯერად მკითხველს გავაცნობთ ზოგიერთ მასალას, რომელიც ჩვენი ისტორიული მუზეუმის არქივში აღმოჩნდა.

როგორც ვწერდით, მიურატები მათივე მამულებიდან გლეხებს მიწებს აძლევდნენ იჯარით (არენდა). მუზეუმის საბუთებიდან ჩანს, რომ იჯარის ხელშეკრულება ფორმდებოდა უმთავრესად სტამბური წესით დაბეჭდილ ქაღალდზე ხელმოწერით.

ხელშეკრულება იდებოდა პრინცესა სალომე მიურატსა და მოიჯარადრე გლეხს შორის. საიჯარო ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ მიურატის სახელით მისი ვექილი და მოიჯარადრე, რასაც ამოწმებდა სოფლის მამასახლისი. ასე გრძელდებოდა იგი სალომეს გარდაცვალების შემდეგაც, მისი ქალიშვილის ანტუანეტას (ბებეს) მიერ. ხელშეკრულება 9 მუხლისაგან შედგებოდა.

ხელშეკრულების ტექსტი განსაზღვრავდა მხარეთა ურთიერთვალდებულებებს. თითოეული ქცევა მიწითსარგებლობისათვის გლეხს უნდა შემოეტანა წლიურად გარკვეული გადასახადი. ეს გარიგება დამოკიდებული იყო მიწის ავ-კარგიანობაზე.

საიჯარო მიწაზე მოიჯარადრეს უფლება ჰქონდა დაეთესა მისთვის სასურველი კულტურა (სიმინდი, ღომი, ბოსტნეული და სხვა), შემოეკავებინა მიწის ფართობი ღობით, ან გაევლო თხრილი, დაედგა მოსავლის შესანახი ნაგებობა (სასიმინდე, ბეღელი).

მოიჯარადრეს არ ჰქონდა უფლება მასზე გაპიროვნებული მიწა სხვისთვის გადაეცა, თუ რაიმე სიმდიდრე (მადნეული, მინერალური წყალი და სხვა) აღმოჩნდებოდა ამ მიწაზე—მიეთვისებინა იგი. მოიჯარადრე როცა გადასახდელის შეტანას დააგვიანებდა, ჯარიმდებოდა ყოველ გადაცილებულ დღეზე თითო კაპიკით მანეთზე.

მუზეუმის არქივში ჩვენ ვიპოვეთ 1911-1912 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები სალიპარტიანოს მამულებიდან (იხ. საბუთი №6118-6119).

ამ საბუთებში დასახელებულია სოფლები—სალხინო, ნამიკოლაო, თამაკონი, ლეკავე, ჟინოთა, ბანდი, ლებაჩილე, ოჩე, ნობულევი, წაჩხური, კიწია, დოშაყე, ლექაძამე და ქვიბიას მთა. ამ სოფლებიდან არენდის, ნადელის, ბაჟების და სხვა შემოსავლებისა და გადასახდელიდან მიღებული თანხებია აღნიშნული.

ამავე საბუთებიდან ჩანს, რომ 580-ზე მეტი გლეხისათვის გაუციათ იჯარით 1500 ქცევამდე მიწა. შემოტანილია პრინცესას სახელზე შეჯამებულად 4000 მანეთამდე ფული, ხოლო ნატურით 3279 ფუთი სიმინდი, 32580 კონა ჩალა და სხვა. ამაში არ შედის სალხინოდან და ჭკადუაშის ვენახებიდან მიღებული შემოსავალი.

რაც შეეხება საბაჟო შემოსავლებს, იგი ქვიბიის მთის საძოვრებით სარგებლობისათვის ცხენებზე, ძროხებზე, ცხვრებზე, ფუტკრებზე დაწესებული გადასახდელებისაგან იყო მიღებული. გადასახდელი იყო ნადირობის ნადავლზე, ხე-ტყის სარგებლობაზეც. ერთ წელიწადს (1912 წ.) ეს შემოსავალი 980 მანეთს აღწევდა. მკითხველმა კარგად იცის, რომ 60-იანი წლების საგლეხო რეფორმის მიუხედავად ძველი ფეოდალური წყობილების ნაშთები დიდხანს გრძელდებოდა.

სალომე დავითის ასული დადიან-მიურატის მისამართით უნდა ითქვას, რომ იგი არ იყო ისეთი მემამულე, რომელიც მხოლოდ თავისი კაცებით აწესრიგებდა საქმეებს და თვითონ მშვიდად სასახლეში მჯდომი აჯამებდა და აკონტროლებდა შემოსავალ-გასავლის ანგარიშებს. პრინცესა სალომე ენერგიულად საქმიანობდა, რომელიც კარგად ჩანს, როგორც საბუთებიდან, ისე ზეპირი გადმოცემითაც.

ამას წინათ ჩვენ ვესაუბრეთ სოფელ ჭკადუაშის მცხოვრებ ქალბატონს, ლოლა ანტონის ასულ ქირია-ჭითანავას, რომელმაც გაიხსენა სალომეს თანამედროვის, თავისი სიმამრის დავით ჭითანავას (პავლე ჭითანავას მამის) ნათქვამი იმის შესახებ, რომ პრინცესა თავს დასტრიალებდა ვენახის პლანტაციებს. პლანტაციებში გასვლისას ყოველთვის წელზე ეკიდა მას ვენახის ასაკრავი ბაწრები და როცა ჩამოვარდნილ ტოტს დაინახავდა თვითონვე მოუვლიდა მას. დიდ ყურადღებას აქცევდა ნამუშევრის ხარისხს, დაქირავებულ მუშებს ანგარიშს დროზე უსწორებდა და სხვა.

ერთხელ, ორშაბათ დღეს ჭკადუაშის სასახლეში თურმე სალომეს ესტუმრა ქუთაისის გუბერნიის მაღალი თანამდებობის პიროვნება, რომელმაც მოისურვა პრინცესას ნახვა. ვენახის პლანტაციაში მყოფ სალომეს საპატიო სტუმრისათვის შეუთვლია —„ორშაბათი სამუშაო დღეა და გადაეცით მას შეხვედრისათვის დრო შეარჩიოს“. სტუმარი სიტყვაშეუბრუნებლივ უკანვე გაბრუნებულა.

ამ სტრიქონების ავტორს აინტერესებს მიაკვლიოს მასალებს, რომელიც ამსახველი იქნება მიურატების მიერ საკუთარი მეურნეობის მართვის, ღვინის გამოხდის ტექნოლოგიისა და რეალიზაციის საკითხების. განსაკუთრებით საინტერესოა რა ფართობი ეკავა ოჯალეშის ვაზს და რა რაოდენობის მოსავალს იღებდნენ მისგან. მუზეუმის არქივში ინახება ოჯალეშის ღვინის ეტიკეტები ფრანგული წარწერით, რაც იმას ამტკიცებს, რომ ეს ღვინო საზღვარგარეთაც გაჰქონდათ. რუსეთსა და ევროპის ზოგიერთ ქალაქში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა-იარმარკებზე მიურატების მიწვევაც უთუოდ ოჯალეშის ღვინის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო.

გამოსავლინებელი და შესასწავლია რუსეთისა და საზღვარგარეთის კომერციულ ბანკებთან და სააქციო საზოგადოებებთან მიურატების მიმოწერების მასალებიც. ასევე საყურადღებოა მიურატების დაინტერესება სამეგრელოში, სამურზაყანოსა და სვანეთში სხვადასხვა მადნეულებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების (ვერცხლის, სპილენძის, ტყვიის, მინერალური წყლების, ცარცის) საძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით. არქივში მოიპოვება ცნობები კულტურისა და სწავლა-განათლების საკითხებისადმი სალომე დადიანისა და სხვათა დადებით დამოკიდებულებაზე და ა. შ.

**მამანტი პაჭკორია,**
ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრის —ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოდან გვატყობინებენ

28 და 29 აგვისტოს საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოსთან არსებულმა სასოფლო სამეურნეო წარმოების კომისიამ (თავმჯდომარე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გაბისონია) შეამოწმა ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე გასაყიდად გამოტანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში ნიტრატების რაოდენობა. შემოწმებით აღმოჩნდა, რომ გამყიდველთა უმრავლესობას არ გააჩნდა სერთიფიკატები. კოლმეურნეები ცდილობდნენ ბაზარში გასაყიდად შემოეტანათ ნიტრატებით გაჟღენთილი პროდუქტები. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონიდან შემოტანილ იქნა ნესვი, რომელშიც ნიტრატების რაოდენობა დასაშვებზე 26 ერთეულით მეტი აღმოჩნდა.

შემოწმების დღეს ბაზრის ტერიტორია დანაგვიანებული იყო, მეორე დღეს ნაწილობრივ დასუფთავებულ იქნა. ბაზრიდან მთლიანად ნაგვის გატანას ადმინისტრაცია ვერ ახერხებს, ქალაქის ნაგავსაყრელის ცაცხვისა და დიდინეძის მცხოვრებლების მიერ პიკეტირების გამო.

31 აგვისტოს ზუგდიდვაჭრობის სისტემაში იყიდებოდა გომელის ოლქის ქ. როგაჩევის ქარხნის მიერ გამოშვებული კონცენტრირებული, სტერილიზებული რძე, რომელშიც რადიაციული დაბინძურების ხარისხი 3-ჯერ მეტი აღმოჩნდა დასაშვებ ნორმასთან შედარებით. რადიაქტიური გამოკვლევა ჩაატარა მწვანეთა საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილმა ბაქტერიოლოგიურმა კომისიამ (თავმჯდომარე ი. ჩარკვიანი). აღნიშნული ფაქტის გამო ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭოს თხოვნით ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეაჩერა რადიაქტიურად გაბინძურებული სტერილიზებული რძის გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით გამოყოფილია კომისია, რომელიც შეისწავლის, თუ ვის მიერ და როგორ მოხდა აღნიშნული პროდუქტის ქალაქში შემოტანა.

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის საკოორდინაციო საბჭო.**

ხელოვნების ერთგული

## ხეზე კვეთის ოსტატი

ჩვენი სოფლის, აბალამბასთუმნის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მუშაობს შუა ხანს მიტანებული ჭუჭუ თოდუა—საოცრად ზნეკეთილი კაცი. რა გინდა მისმა მადლიანმა მარჯვენამ არ გააკეთოს. განსაკუთრებით ემარჯვება ქართული ორნამენტების ხეზე ამოკვეთა; სულს უდგამს ხეს, მაგრამ... სამწუხაროა ისაა, რომ მასალის სინაკლებეს განიცდის და მის ხელობასაც არავინ სწავლობს...

პირადად მე მეორე საკითხი უფრო მაწუხებს. რა უჭირს, მოზარდები სკოლის მერხიდანვე ვაზიაროთ ხეზე კვეთის მამაპაპეულ ტრადიციას, შევაყვაროთ, ვასწავლოთ ეს ხელოვნება? ყოველმხრივ წასახალისებელი და ხელშესაწყობია ჩინებული ოსტატი ჭუჭუ თოდუაც.

**ვ. ფიფია.**

## კვლავ აღსდგა ეკლესია

კორცხელის ღვთისმშობლის ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ძეგლია რაიონში. დიდი სამუშაოები შესრულდა, რათა სოფლის მოსახლეობის სამსახურში ჩამდგარიყო ეს წმინდათა-წმინდა ადგილი. ეკლესიას და სამრეკლოს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები. აღდგენილ იქნა გალავანი და ეს შესანიშნავი ძეგლი კვლავ გადაეცა მორწმუნეთ. ხუთ აგვისტოს კორცხელის ღვთისმშობლის ეკლესიამ ხანგრძლივი დუმილის შემდგომ კვლავ მოუხმო თავის მრევლს. ჭყონდიდის შთავარი ეპისკოპოსის გიორგი შერვაშიძის ლოცვა კურთხევით, დადიანის ეკლესიის წინამძღვარმა მიხეილ ასათიანმა პარაკლისი გადაიხადა, რაც საწყისია ეკლესიის აღორძინებისა.

გაიმართა ლოცვა-კურთხევა, გალობა, რომელსაც დიდძალი მორწმუნე დაესწრო. ხალხს უბრუნდება რწმენა.

ამჟამად, როცა საქართველოში ეროვნული სული აღორძინების გზაზეა, ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია კვლავ შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ამიერიდან კორცხელის ღვთისმშობლის ეკლესიაც იქნება სულიერი კულტურის შესანიშნავი ტაძარი.

**დ. ლაშხია.**

---

1990 წლის 7 სექტემბერს 5 საათზე საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში შედგება საბინაო სამშენებლო კოოპერატივ „კოლხეთი" №5-ის მეპაიეთა კრება. დასწრება სავალდებულოა.

**კოოპერატივის გამგეობა.**

---

9 სექტემბერს, კვირას, 12 საათზე ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე მდებარე მეხუთე საშუალო სკოლის ძველ კორპუსში ზუგდიდის ექსპერიმენტალური სკოლის პედაგოგიური კოლექტივი აწყობს შეხვედრას მშობლებთან და მოსწავლეებთან.

**ეკომიკურატ პედაგოგთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.**

## მ. გ. მაქაცარია



გარდაიცვალა საკოლმეურნეო ცხოვრების ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ახალსოფლის კოლმეურნეობის აქტიური წევრი **მარო გუდუს ასული მურღულია-მაქაცარია.**

იგი დაიბადა 1908 წელს ახალსოფელში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ იწყებს შრომით საქმიანობას. აქ იგი თავის ბედს უკავშირებს თანასოფლელ ვლადიმერ მაქაცარიას.

სოფლის წინსვლის საქმეში წლების მანძილზე გარკვეული წვლილი შეჰქონდა მაქაცარიების ოჯახს. 1948 წელს ქალბატონ მაროს და მის მეუღლეს ენიჭება სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

მარო მაქაცარია შესანიშნავი დედა და თაობათა აღმზრდელი დამსახურებულ სიყვარულს იმკიდა სოფელში, იყო მისი მოამაგე და ქომაგი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მრავალგზის მონაწილეს მიღებული ჰქონდა ოქროსა და ვერცხლის მედლები. დაჯილდოებული იყო ლენინის ორი ორდენით

წავიდა ჩვენგან მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით შემკობილი ადამიანი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს თანასოფლელების, აღზრდილების გულში.

**ახალსოფლის კოლმეურნეობის გამგეობა.**

«მწვავე სიგნალები

### როდემდის?

მეათე წელია, რაც სოფელ ოქტომბერში რადიო დუმს. რადიოკვანძის ხელმძღვანელობასთან არაერთხელ დავსვით საკითხი, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

როდის ამოიღებს რადიო ხმას?

**ა. შამუგია.**

### იქნებ დაგვეხმაროთ

მეუღლე დიდ სამამულო ომში დამეღუპა, იგი იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაეცა და იქვე განისვენებს. მაქვს შეღავათი, როგორც ომში დაღუპულის მეუღლეს, ვდგავარ ტელეფონის რიგში 1980 წლიდან, მაგრამ არავითარ ანგარიშს არ გვიწევენ, დღემდე არა მაქვს ტელეფონი. ვსარგებლობდი ჩემი ქალიშვილის სატელეფონო ნომრით და გადმოყვანილი მქონდა პარალელური ხაზი, მაგრამ, საუბედუროდ, გასული წლის მაისის თვიდან ისიც დადუმდა. მშველელი არ ჩანს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს გაუკითხაობა, იქნებ თქვენ მაინც დაგვეხმაროთ?!

**ბ. ბერბედავა.**

## შ. ი. გეთია



ზუგდიდის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს კოლექტივს გამოაკლდა ღვაწლმოსილი ხელოსანი, შრომის წითელი დროშის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი **შოთა იასონის ძე გეთია.**

იგი დაიბადა ზუგდიდში 1917 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ეუფლება მკერავის პროფესიას და 1938 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მამაკაცის ტანსაცმლის მკერავად ზუგდიდის ყრუ-მუნჯთა საზოგადოების რაიგანყოფილებაში, შემდგომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სახელოსნოში მკერავად. უბადლო სპეციალისტმა არაერთ ახალგაზრდას შეაყვარა არჩეული პროფესია. თავაზიანი, დიდი გემოვნების მკერავი იზიდავდა კლიენტებს, მის ნახელავს დიდი სიხარული მიუნიჭებია ადამიანებისათვის.

ქალაქისა და რაიონის ხელოსანთა ამქარს გამოაკლდა საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი პიროვნება, ახალგაზრდობის საიმედო მრჩეველი და დამრიგებელი, რომლის ხსოვნა დიდხანს დაისადგურებს ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა, მეგობრობდა, ამხანაგობდა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**რედაქტორის მოადგილე ზ. ცხონდია.**

---

მეუღლე ლულუ თოდუა, შვილები: ნონა, ნანი ნინუები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**სერგო აკაკის ძე ნინუას**
გარდაცვალებას, პანაშვიდი 5, 6, 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს ზუგდიდში, გამოსვენება მარცხენა სანაპიროს 27-დან 17 საათზე.

---

მეუღლე მადონა. დედა ნინა, შვილები ინდირა, გოგი, დები კლიროუზა, ლუიზა, ძმები ილუშა, გენდრი, სიდედრი ლამარა, სიმამრი დათიკო. ცოლისდა დალი, ცოლისძმა ბეჟანა გადელიები. დეიდები ზინა, შურა, სულიკო. ჟუჟა. მამიდები გოჭუცა. ლუნა, ბიძები: პაპიკო ღურწკაია, ბაპო ალფენიძე, კოლია, ჟორჟე. სვეე ჟორა, კოტე. სიძე ჯემალ ჩხოლარია, რევაზ შენგელია. რძლები: როზეტა. ნანა. ბიცოლები შურა, ზაირა, ეთერი. ნაზო, დისშვილები: პაპუკა, მაკა. ბაბუნა. სოფიკო. ძმისშვილები: თეა, ნათია. ლევანი, ცირა. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები იუწყებიან
**ენვერი შილას ძე ღურწკაიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7, 8 სექტემბერს. დაკრძალვა 9 სექტემბერს. გამოსვენება პაპაჩინის ქუჩა 13-დან 6 საათზე.

---

შედეა და თემურ ნარსიები ოჯახით იუწყებიან მამიდაშვილის
**მაია ვასოს ასულ ხოშოლავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ვარდიშა. შვილი რევაზი. და ჭუტა, რძალი ასმათი, შვილიშვილები როზეტა, რენატა, როლეტა ბერულავები იუწყებიან
**გრიშა ფარნას ძე ბერულავას**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 სექტემბერს სოფ. ჯიხაშკარში.

---

ბიძა კაკო, მამიდა ვენერა, ბიცოლა თამარი. ბიძაშვილები დოდო, ბიჭი გიორგაძეები, რძალი ქეთინო ბელქანია, სიძე რევაზი გაბისონია შვილებით იუწყებიან
**იურა ბესარიონის ძე გიორგაძის**
გარდაცვალებას.

---

სოფელ ჯიხაშკარის ომის ვეტერანთა საბჭო იუწყება
**გრიშა ფარნას ძე ბერულავას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის
**ჟორჟი იროდის ძე ძაძუას**
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს.

---

შვილები: ავრორა, ინზირი, სიძე ჯამბული გერსამია, შვილიშვილები: ეკა, ზაზა, თამარი, ჯამბული. ძმა აკაკი, ძმისშვილი ალექსანდრე ოჯახით, მეზობლები ეკატერინე, სამსონი ქირიები. ტატიანა ციალა, ცეზარი გვასალიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**აბელი (არტემი) იაკობის ძე შონია.**
პანაშვიდი 6, 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს. გამოსვენება 17 საათზე ლენინის ქ. 131.

---

შვილები: ტრისტანი, მალხაზი, დედამთილი ძაბია. და იზოლდა. ძმა გურამი ყიფიანი. რძალი ციალა, მაზლი ედიშერი, რძლები ხანუკი, ცისანა, თინა, ლიანა, მაზლიშვილები: ომარი, თემური, მზევინარი, დათა ჯიშკარიანები, მამიდა მათიკო, ბიძია ზალიკო, შვილიშვილები: ბონდო, სოსო, ირაკლი, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**ნინელი სიმონის ასული ყიფიანი-ჯიშკარიანი.**
პანაშვიდი 5, 6, 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ყუფუნიას ქ. 74-დან.

---

დედა იზა, მამა ამბორი, ძმები: თემური, ამბორი შელიები, ბებიები ლუდა შელია. ვარდო თოლორაია, იმედო კიკავა, ქსენია ექიშიძე. ბაბუა ნუგზარი თოლორაია, მამიდა ანჟელა შელია, დეიდები ციცო, ნონა თოლორაიები, ნატო ჯღარკავა, ბიძები: ფლდინი, მურმანი შელიები. ლუდა, გურამი, თამაზი თოლორაიები: ბიცოლ ა ნინო შელია, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან
**გიორგი (გოგა) ამბორის ძე შელიას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 სექტემბერს, დაკრძალვა 8 სექტემბერს კახათში.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2 24 80, რედაქტორის მოადგილის — 2-35-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების ... 78 მშრომელთა წერილების —2-35 12 რადიორედაქციის —2 47-09

საქ სსრ ბეჭდვისა და ... სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 68 ტელეფონი 2 23 07 ტირაჟი 22000. შეკ. № 3905